მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

1 ნოემბერი, 2021
№ 21/09/03-82

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ოთარ დანელიას

ბატონო ოთარ,

როგორც მოგეხსენებათ მიმდინარე წლის ივლისში სააგენტომ გასცა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის ტერიტორიაზე წიაღისეული მოპოვების #10002204 და #10002205 ლიცენზიები. ლიცენზიების პირობების თანახმად, ლიცენზიანტებს ამ ეტაპზე მხოლოდ შესწავლის უფლება აქვთ. ასევე, ორივე ლიცენზიის პირობების თანახმად, შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, ლიცენზიანტი ვალდებული იყო უზრუნველეყო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.

მოგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ვიღებთ დახმარების თხოვნის ზარებს და წერილებს ადგილობრივი მოსახლეობისაგან. მათი განმარტებით ადგილზე დაწყებულია მოპოვებითი სამუშაოები. ასევე, ადგილობრივების განმარტებით, მათთვის უცნობია რა ტიპის სამუშაოებს მოიცავს შესწავლა - ლიცენზიანტებს არ ქონიათ მათთან კომუნიკაცია აღნიშნულ თემაზე.

გთხოვთ, ეს წერილი განიხილოთ როგორც საჩივარი; შეამოწმოთ ლიცენზიანტების მიერ ლიცენზიის პირობებთან და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის მდგომარეობა; მიიღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები და მოგვაწოდოთ ინფორმაცია სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი